

# სასაქართველოს გუშაბი



La Sentinelle de Géorgie

JOURNAL DU PARTI NATIONAL-DEMOCRATE GEORGIEN

Directeur : Sp. KEDIA. 1<sup>re</sup> ANNÉE. N<sup>o</sup> 1. SEPTEMBRE 1932. PARIS

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ყოველთვიური ორგანო.

რედაქტორი სპ. კედია. წელიწადი პირველი. N 1. სექტემბერი 1932 წ. პარიზი

პარიზი. სექტემბერი.

ჩვენ არ გვჭირდება ჩვენი ვინაობის ახსნა-განმარტება. საქართველო და მისი დამოუკიდებლობა ჩვენ ვეწამოდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ზოგს ეს სასაცილოდ არ ყოფნიდა, ხოლო ზოგი კიდევ ამას გააფთრებთ ებრძოდა.

გვწამდა და კიდევაც ვიბრძოდით ამ რწმენის განხორციელებისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის რესტავრაციამ უნდა იყოს ჩვენი რწმენის ცხოველყოფილი სინამდვილე. ხოლო მისმა უდროოდ დაკარგვამ გაამართლა ჩვენი შიში, რომ სამშობლოს ვერ უჭირისუფლებდა ის ხალხი, რომელიც რუსეთის რეჟიმის მიერ მას თავზე მოახვია, ვინაიდან ვიცოდით, რომ ეს ხალხი დოქტრინალურად სამშობლოს მოძულე იყო; ხოლო ფაქტიურად იგი მთელი მეთხევდი საუკუნის სიგრძეზე დაუბრუნებლად ებრძოდა და ათასობით საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას.

ამ ორი ერთი მეთრის მომდევნო მოვლენის შემდეგ და როგორც ამის ბუნებრივი დასკვნა, ჩვენში კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს კვლავ აღდგენის რწმენა. ხოლო ამავ დროს ცხოვრების მიერ დადასტურებულ იქნა ის, რაც მანამდე, ლოდიკისა და ფსიქოლოგიის კანონით, მხოლოდ აპრიორულად გვქონდა გათვალისწინებული: ვისი შემეცნებას მოხმამულია სამშობლოს უარყოფელი იდეოლოგიით, ის სამშობლოს ვერც მიუხვდება და ვერც დაიძავს.

ეს ჩვენი უკანასკნელი დასკვნა, 1921 წლის ეროვნული კატასტროფის მაგალითზე გამოტანილი, კიდევ მრავალჯერ დადასტურდა ამ ხალხის თერთმეტი წლის ემიგრანტული მოღვაწეობის განმავლობაში. ეს ორი ძირითადი გარემოება—სრული რწმენა საქართველოს მომავლისადმი და ასევე სრული უნდაზობლობა მის შთინელ მესვეურებისადმი—აყალიბებს ჩვენი მომავალი მოქმედების მიმართულებას: ერთია—ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის; მეორეა—ბრძოლა იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისი პოლიტიკაც, ცხოვრების უდაო ფაქტებზე, შემოწმებულია, როგორც ქვეყნის გამანადგურებელი და დამლუხველი.

ამ ხალხზე გავლენა ვერაფერმა მოახდინა. მისთვის უქმად ჩაიარა ამდენმა ეროვნულმა უბედურებამ. მისი გაქვავებული სული და გონება მოულოდნელად შედგომდნენ არ ემორჩილება. იგი დარჩა ისევე მავნებელი და სახიფათო საქართველოს მომავლისათვის, როგორც იყო მთელი თავისი სიცოცხლე.

ამგვარად, დღესაც ისე, როგორც გუშინ, ჩვენ ვიბრძვით საქართველოს განთავისუფლებისა და მისი ბედნიერი მომავლისათვის; დღესაც ისე, როგორც გუშინ ვებრძვით საქართველოს საგარეო მტრის და მის შინაურ ორგულს. რაც შეეხება პირველს—საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას,—ამ მხრივ ჩვენ დღეს ბევრად უფრო ბედნიერნი ვართ, ვიდრე გუშინ ვიყავით დღეს მთელი ერთი ჩვენთან არის და ამ მიზნისთვის იბრძვის. არ არის არც ერთი ჯგუფი, სულ უმნიშვნელოც,—კი, რომ სამშობლოს დამოუკიდებლობას უარყოფდეს და მას რაიმე დოქტრინის სახელით ებრძოდეს. თუ ამ ხუთმეტოდვე წლის წინად ეროვნული იდეალიზმით მხოლოდ ვიწრო წრე იყო შე-

კრობილი და სამშობლოს დამოუკიდებლობაზე მარტო ის ოცნებოდდა, დღეს ეროვნული თავისუფლების იდეალით გატაცებულია მთელი ქართველი ა და მის განხორციელებისათვის იბრძვის და თავსა სდებს. სურათი სულ სხვაა. მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. მიზანი ზედ სინამდვილის საზღვარზეა მომდგარი.

ახალი ეპოქა!

ვიდრე ეს ეპოქა დგას და ბრუნავს და შემოსეული მტერი სამშობლოში მძვინვარებს, მთელი ჩვენი ყურადღება და ძალღონე მხოლოდ და მარტო საქართველოს საგარეო მომენტზე იქნება დაგროვილი. ეს ის პუნქტია, სადაც ყველა ჩამდვილდა და შეგნებულ პატრიოტთა კონცენტრაცია უნდა მოხდეს. ეს ის მალაობია, საიდანაც ბრძანების იძლევა მარტო ეროვნული აზრი და გონება, მარტო ეროვნული ინტერესი და მოვალეობა. ჩვენ თავიდანვე ეს გზა და მოვალეობა დავისახეთ ჩვენი მოქმედების მიზნად.

სამშობლო მუდამ ჩვენი სულის პერმანენტული ყოფა იყო და არის. იგი ჩვენი შეგნების განუყოფელი ელემენტია. სამშობლოს სამსახური—ჩვენი მუდმივი მდგომარეობაა. მისი ინტერესი—ჩვენთვის უზუნაესი კანონია.

იგი არც სავსეა საფეხურია, არც ეტაპია და არც ეპიზოდი მამულიშვილის ცხოვრებაში, არამედ მთელი მისი სიცოცხლის გარემომცავი ძალა, მისი აკვანი და კუბო.

ამ შემეცნების წყალობით, ჩვენს სინდისს სამშობლოსთან არასოდეს კონფლიქტი არ მოსვლია. ამიტომაც, საქართველოს საგარეო მომენტზე მთელი ყურადღების დაგროვება ჩვენთვის ჩვეულებრივი ყოფის გაგრძელებაა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ პუნქტზე შეგნებდებით ყველა იმათ, ვისაც საქართველო გულწრფელად სწამს და უყვარს; ვინც უწინარეს ყოვლისა პატრიოტია და სამშობლოც თვითმარცხნებად აქვს შესისხლზო რცხული; ვისაც საქართველოსთან კონფლიქტი არ მოსვლია; ან თუ ოდესღაც კიონია, დღეს ეს მხოლოდ გულწრფელად მონანიებულსა და გამოსყიდულ მოგონებას—ლა წარმოადგენს. ეს სამშობლოს ეროვნულ მოსამსახურეთა გრძობა-გონებისა, შეგნება—მისწრაფებისა და მოქმედება-ღონის-ძიების სამობილიზაციო პუნქტია, სამშობლოს ერთგული გვარდიის უშიშარი სამყოფელი. ჩვენ გვწამს, რომ სწორედ აქ გაიქცევა მტკიცე ეროვნული კავშირი და ერთობა.

მხოლოდ ამგვარ ხალხში, მხოლოდ ამ პატრიოტულ ატმოსფეროში შესაძლებელი ნამდვილი ეროვნული შემოქმედება; მხოლოდ ამ გარემოში შესაძლებელი სალი, საქართველოს მარადიულ სულთან დაკავშირებული პოლიტიკის შეგროვება და გამოქვეყნება.

ამის ძინის პროცესში დაისმება საკითხი—ჩვენი მომავალი მოქმედების ხასიათისა, საწარმოებელი ბრძოლის ბუნებისა და მის ტემპერამენტისა. ამ საგანზე სწორი დასკვნების გამოსატანად, საჭიროა მთელი იმ გარემოების სოდნა-გაგება, რომელშია მომწვედულია საქართველო და რუსეთი, მისი დღევანდელი მტერი; საჭიროა სწორი ვარაუდი მათი რესპექტივული ძალებისა, მათდამი გარემოთა დამოკიდებულებისა. ყველა ამას უნდა მალდიდან დანათებ-

დეს საქართველოს წარსულის სინათლე, ქართველი ხალხის ისტორიული გამოცდილებისა და პერსპექტივის შუქი.

პოლიტიკა პერმანენტული პროვოკაციისა და დემაგოგიის—წყარო საქართველოს ამდენ უბედურებათა—შემოტახილი სამშობლოს მოძულეობისა და კლასთა გადაკიდების ნიადაგზე საკუთარი პეგემონის მათიებელი ხალხის მიერ, უნდა ძირშივე მოითხროს, როგორც ყოველად უცხო და ქართველი ხალხის ისტორიულ ბუნებასთან არსებითად დაპირისპირებული გამოვლენა.

რაც შეეხება მტერთან ბრძოლის მეთოდს, ამ მხრივ ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტორის გათვალისწინება, ძველი მეთაურობის დამქსაქსეული, პროვოკაციული და სამშობლოს გამაჩანაგებელი პოლიტიკის უარყოფა და აგრეთვე განვლილი თერთმეტი წლის ბრძოლა-შედეგის ობიექტიური შეფასება ჩვენ მიგვიყვანს ზოგიერთი ურყეველი დებულების საბოლოო გაგებაში, რაც დაგვიდგენს რამდენიმე მუდმივ საფუძველს, ეროვნული ბრძოლის საქმეში სახმომღვანელოდ, რომელთა უყურადღებოდ დატოვებამ ჩვენს ქვეყანას უკვე განუზომელი ვნება მოუტანა.

ამ გზითა და წესით, ჩვენთვისაც ცხადი გახდება ის, რაც მუდამ ცხადი იყო:

რომ საქართველო რუსეთზე სუსტია, მაშინ პირისპირ ხმალამოღებული ბრძოლა ხერხ არ დაგვყრის.

რომ ქართული საკითხი საერთაშორისო საკითხია და მხოლოდ საერთაშორისო მდგომარეობის სათანადო ევოლუცია მოამწიფებს მის ჯეროვან გადაჭრას.

რომ ჩვენდა თავად ამ დიად მოვლენათა არც დაჩქარება შეგვიძლიან და არც შეწყობა;

და რომ გაგებულნი ეროვნული მეთაურობა უნდა შეგნებულად დასჯერდეს თავის, ერთის მხრივ, სულ უმნიშვნელო როლს, [საერთაშორისო ჩარჩოებში], როლო მეორეს მხრივ, თავის, შეუნაცვლებელი სიდიადის მნიშვნელობას, [საქართველოს ჩარჩოებში].

მანასადამე, ჩვენთვის საჭიროა სერვეტი, მოთმინება, საერთაშორისო მარტაბით ქართული საქმის პროპაგანდა, მუშაობა ხელოსაყრელი კონიუქტურის შესაქმნელად, მომენტის დარაჯობა და მისი გამოყენებისათვის მაქსიმალური მომზადება.

საჭიროა ამ პროცესის მთელი სირთულის დანახვა, მისი ხანგრძლივობის ბუნებრიობის შეგნება, ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინება, თავის აღსურვა დიდ სულთვანი, შეურყეველი და იმედიანი მეთრის მალალი თვისებებით და უღმობელი ბრძოლა სულმოკლეობის ყოველ გამოსახულებასთან.

ამგვარი მოზაობით ძალა-დაგროვილი საქართველო, თავისა და მტრის ძალა-სისუსტის შეგნებულად შემფარდებელი და საერთაშორისო მომენტის ობიექტიური ამოკითხველი, მტკიცე და გადაუხვეველის ნაბიჯით ივლის თავის საიმეოო მომავლისაკენ.

ესლა რჩება იმ შინაურ ფაქტორთან ბრძოლა, რომელიც ამ დიდი საქმის გონიერ წარმართვას ხელს უშლის და აბრკოლებს. ეს ხელისშემშლელი ფაქტორი გამოსახულია იმ მეთაურობაში, რომელიც ბნელ რდინიას გარემოთა დაგროვდა და „საერთო ფრანტის“ სახელს იჩემებს. ამ მეთაურობათან ბრძოლა დღეს უფრო გაადვილებულია,

ვიდრე ეს იყო ამ შვიდი—რვა წლის წინად, როდესაც მას პირველად ომი გამოვუცხადეთ.

დღეს ყველა ჰხედავს, რომ ამ მეთაურობის ემიგრანტული მოღვაწეობის ბალანსი მძიმე ეროვნული დეფიციტით არის დატვირთული და რომ ამ მოღვაწეობას სპეციფიური სასაქეულიაპიო დანიშნულება აქვს ემიგრაციის უდიდესი ნაწილი ამ სახაობის ამორალობით აღმოვთებაშია მოსული და საქვეყნოდ ამხედრებულია ამ დანაშაულის მოსაქმეთა წინააღმდეგ.

ის რაც ამ დეფიციტსა და მის ავტორებს უფრო ოდიოზურად ჰხდის საზოგადოების თვალში, ეს ის გარემოებაა, რომ ამ დეფიციტის შედეგად ავტორთა მდგომარეობა და კეთილდღეობა კი არ კლებულობს, როგორც ეს საერთო რაზარალების დროს ბუნებრივად ხდება ხოლმე, არამედ პირიქით იზრდება, და იზრდება—ქართველი ხალხის დაღვრილი სისხლის პროპორციასთან ერთად.

არა მარტო იდეურად განსხვავებულ ბანაკში, არამედ, ღვთის მადლით, თვით მენ, შევიკთა წრეებშია ბნელ ქორდანის პოლიტიკის წინააღმდეგ უკმაყოფილების ქარიშხალია ამოვარდნილი.

ყველა ეს გარემოება იმის თავდებია—რომ ქორდანისა ჯგუფის პოლიტიკას, რომელმაც ქართველ ერს ამდენი უბედურება მოაყენა, სამუდამოთ ფარდვა აგნდებდა; რომ იგი დაჭარბავს მის გარშემო დატული სიჩუმის იმუნიტეტს და საქვეყნო მხილებისა და გამოხატვის საგნად გარდაიქცევა, ემიგრაციისა და საქართველოს საბედნიეროდ.

ამგვარად, „საქართველოს გუშაბი“, ისე როგორც ყველა მისი წინაპარი, თუმცა პარტიის დამლას ჯტარებს, მაგრამ ერს ეკუთვნის და მას ემსახურება; იგი ეროვნული იარაღია პარტიის ხელში და მხოლოდ საქართველოს მარადიულ ინტერესებს გუშავობს; მის სულიერსა და ნივთიერ მემკვიდრეობას; მის რერიტორიულ და მორალურ-პოლიტიკურ მთლიანობას.

იგი იბრძვის საქართველოს გამოსახსნელად ვერაგი მტრის კოლანუებისაგან და მისი მტკიცე მომავლის ასაგებად.

ამ დიად მიზნისთვის მთელი ერთი უნდა დაიძრას ყველა თავისი შემომქმედი ავლა-დიდებით.

და, „საქართველოს გუშაბი“, თავის პოსტის სიმალლიდან, მოუწოდებს ყველას, ვისაც საერთო ოჯახის ბედი სტანჯავს და არა კერძო-ჯგუფური დარდი და მიზანი—თავი მოიყაროს და საქართველოს სადარაჯოზე გამოვიდეს, რომ ამ საშინელ ისტორიულ ქარტახილში ჩვენი სამშობლო უვნებლად სამშვიდობოს გავიყვანოთ. სპ. კედია.

## დიდი სხვერბლის სხოვნისათვის.

ის გარემოება, რომელიც საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტოში დამყარდა, სათავეა საქართველოს დაუცხრომელი მღელვარებისა. ის არის წყარო, რომელიც ასაზრდოებს მასთან ქართველი ხალხის პსიქოლოგიურ შეურთებლობას, მის წინააღმდეგ დაუსრულებელ შფოთსა და ბრძოლას. ამის წყალობით, საქართველოს ეროვნულსა და სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას მოსპობილი აქვს სულის სიმშვიდე და სწორწინაობის საძირკველი.



სულ ერთი გოჯი პატრუქია საქმარისი, ან რამდენიმე მისხალი ნაღმი, რომ დღეს გარეგნულად მიმტბორებული ქვეყნის მშვიდობიანი სახე ხვალ ერთბაშად შეიცვალოს და ქვეყანა ცეცხლის ალში გაეხვიოს. ეს ვითარება ასე გაგრძელდება, ვიდრე რუსეთი საქართველოდან არ აიყრება, ან ვიდრე საქართველო მის მკვდარ სიმძიმის ქვეშ არ გაისრისება.

სხვა გამოსავალი არ არის. მშვიდობიანი თანარსებობა შემოსეული და შესეულია შეუძლებელია, როგორც ბუნების საწინააღმდეგო მოვლენა. ან ერთი ან მეორე. ორივე ერთად—არასოდეს.

კაცობრიობის ისტორია საზოგადოთ და საქართველოსი კერძოდ გვასწავლის რომ ერის სხვებთან ასეთი ანორმალური ვითარება შესაძლოა დიდხანსაც გაგრძელდეს. მაშასადამე, ასევე დიდ ხანს იარსებებს მუდმივი საფუძველი ხალხის უკმაყოფილები-სა, მისი ამბოხებისა და აჯანყებისა.

იმის და მიხედვით, თუ ამ გარემოებას როგორ მოვიხმართ, შეიძლება საქართველო ან სულ მძიმედ დავახანოთ და მისი მომავალი საეკონომიკო გავხადოთ, ან ძალის უნა, ყოფი ფლანგვა ავარიდოთ და მოხერხებულ მომენტს გამარჯვების ყველა შანსით შევაგებოთ. ეს ანგარიშის და ჭკუის საქმეა.

ამ საგანს აჯანყების საკითხამდე მივყვართ.

აჯანყება აჯანყებისაგან განირჩევა. ერთია სპონტანიური, სტიქიური აჯანყება რომელიც რაიმე უსებო შემთხვევის საპასუხოდ ემოსიურ რეფლექს წარმოადგენს.

მეორეა მიზნად დასახული აჯანყება, მოფიქრებული და ხანგრძლივი მუშაობით შემზადებული; გარკვეული ნების ყოფის შეგნებული აქტი.

პირველ შემთხვევაში, გონება არ ურევი. მეორე შემთხვევაში—სტიქიურობა და სპონტანიურობა არა სჩანს.

პირველის გასამართლება ისევე შეუძლებელია როგორც მაგალითად სტიქიურ უბედურობათა: ცეცხლისა, წყალდიდობისა, მიწის ძვრისა და სხ.

მეორისა—აუცილებელია, როგორც ადამიანის ნებისმიერი მოქმედებისა. საქართველოში 1924 წელს მომხდარი აჯანყება ამ უკანასკნელი ტიპის აჯანყებაა.

მან ძალიან ბევრი სხვერპლი შეიწირა, ხოლო დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

ეს აჯანყება ისტორიული გაკვეთილია. იგი საერთო ყურადღებისა, და საერთო გამოკვლევა-შეფასების საგანია. მას თავისი გაუსწორებელი დამცველები ჰყავს, ისე როგორც სრულიად შეგნებული მოწინააღმდეგენიც.

ჩვენ თავიდანვე ამ აჯანყების წინააღმდეგი ვიყავით და დღესაც მას უარყოფითად ვაფასებთ.

ამის გარშემო ატეხილ დავაში საკითხის სწორ დაყენებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ზოგი გაუგებრობით და ზოგიც განზრახ ერთმანეთში პრევენს აჯანყებას და საერთო დამოკიდებულებას აჯანყების იდეისა და ამ იდეისათვის თავდადებულ მამულიშვილებისადმი.

ეს ორი სხვადასხვა საგანია. იდეისა და სხვერპლის სიწმიდით არ შეიძლება გაუმათლებელი აჯანყების გამართლება, ისე როგორც აჯანყების დამარცხების ფაქტით არ შეიძლება არც ამავე იდეის შებღალვა და არც მისთვის დახოცილ პატრიოტთა გამტყუნება.

ჩვენ მოწინააღმდეგეობით მუხლს ვიყრით იმ მამულიშვილთა წმიდა ხსოვნის წინაშე, რომელნიც სამშობლოს თავისუფლებას ზეარაკად შეეწირნენ.

ზოგიერთი მათგანის მოწამებრივი სრულება, თვისი ზნეობრივი სიმტკიცის თვალმიუწვდომელ მწვერვლიდან, ასაზრდოებს ქართველის სულს დიდი ეროვნული საქმეებისათვის და მის გულში მამულისშვილობის მაღალ ზნეობას წერგავს.

აჯანყება, როგორც უკვე მომხდარი ფაქტი, ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით რასაკვირველია, საქართველოსათვის უნაყოფოდ არ ჩავივლის. მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს, არამედ ამძიმებს იმ დანაშაულს, რომელიც აჯანყების ხელმძღვანელობას მიუძღვის ჯერ დახოცილთა წინაშე, შემდეგ მათ ჭირისუფალთა და ბოლოს მთელი საქართველოს წინაშე.

ისეთი დიდი და საპასუხისმგებლო საქმე, რომელიც შეიძლება ერის უბედურების ახალ წყაროდ გადაიქცეს, მოითხოვს ყველაფრის წინასწარ გაზომვასა და აწონდაწონვას; და რადგანაც ბრძოლის მიცემის ინიციატივა აჯანყების მომწყობთა ხელშია, მეთაურის სამღვთო მოვალეობაა აჯანყებაზე ხელი აიღოს, როდესაც გამარჯვების შანსები აღარ არის.

აქ ყველაფერი ზღმისა და სასწოროს საქმეა. 1924 წ. აჯანყების ჩამტარებელმა ხელმძღვანელობამ არც არაფერი გაზომა, არც არაფერი ასწონა; მან ანგარიში არ გაუწია ძალთა იმ უზარმაზარ დისპროპორციას, რომელიც არსებობდა და აჯანყების დამარცხებას ყოველგვარ ეჭვს გარეშე აყენებდა.

ისე გამოდის, რომ ეს აჯანყება მოწყობილი იყო უფრო აჯანყებისათვის, უფრო ისტორიისათვის ან კიდევ... დაინტერესებულ მეთაურთათვის და არა აჯანყებულ ხალხის გასამარჯვებლად.

**ნ. ყორღანიას ახალი გზა დაბნეულობა.**

ნ. ყორღანიას ჯგუფი და რუსეთის ბოლშევიზმი საერთო მიზნისაკენ ცალ-ცალკე მიდიან, მაგრამ ერთად არტყამენ „საერთო მტერს“. საერთო მიზანია რუსეთ-კავკასიის ფარგლებში სოციალიზმის დამყარება და განმტკიცება. „საერთო მტერია“ ეროვნული მიმართულება: რუსეთში—რეაქციონერები და ლიბერალები; საქართველოში კი იგივე ელემენტები, საქ. ეროვნ. დემ. პარტიის მეთაურებად გამოყვანილნი. მე ხელთა მაქვს საქართველოში დაბეჭდილი ნ. ყორღანიას წყევ, რომელიც მან თბილისში წარმოსთქვა და სადაც იგი ბოლშევიკების დამარცხებას მუშათა კლასისა და სოციალიზმისთვის დიდ უბედურებად სთვლის. მაგრამ ამ მხრივ უფრო საინტერესოა ყორღანიას უფრო ახალი დროის აზრები. ჩვენს ხელთაა მისი წერილები 1930 წლის «L'Avenir social»-ში დაბეჭდილი, სადაც ფაქტად აღიარებულია, რომ „დემოკრატიის სახელი უტყდება, მისი ავტორიტეტი ინგრევა“ და რომ ევროპაში მასები ვითომც მიზუმდნენ და სახელმწიფო ძალა-უფლებას თანდათან „რჩეულ პირთა“ უმცირესობა ეპატრონება, რაკი მასების ფსიხოლოგიას „კონსერვატიული ნაბიჯი“ [დემოკრატია] აღარ უდგება \*], „საზოგადოება იმყოფება მუდმივ შინაგან დუღილში, რაის მას ხან ტირანისკენ მიაქანებს,

„ბრძოლის ხმა“ 1930 წ. თებერვალი.

ხან თავისუფლებისაკენ“. ყორღანია დასტურის, რომ ევროპაში სოციალისტებს მასები აღარ მიჰყვებიან და რომ ხალხი უფრო „ფაშისტურ ოლიგარხიას“ ემხრობა. ამის მიხედვად ისიც მიიჩნია, რომ სოციალისტთა ტაქტიკამ ვერ მიიძნოთ გარდა მუშებისა საზოგადოების სხვა ელემენტები: ინტელიგენცია, საშუალო წრე ე. ი. წვრალი ბურჟუაზია და ისეთ ლოზუნგს დაეძებს, რომელიც ბრძოლის პროცესში „სოციალისტების დროშას“ უმრავლესობას შეუქმნის. მაგრამ გამარჯვების შემდეგ ყორღანია უკვე აღარ კმაყოფილდება ბურჟუაზიული დემოკრატიითა და „სოციალურ დემოკრატიას“ ანორსიყლებს; ამიტომ ყორღანია წინააღმდეგობა პარლამენტარული „დამბლისა“ (ე. ი. წესისა); პარლამენტი სოციალისტურ პარტიას თურმე დარღვევით და მოშლით ემუქრება; პარლამენტის წინააღმდეგ გამოდის და ხელსაწერს ყორღანია არა როგორც მარტო სოციალისტი, არამედ როგორც საქართველო. მთავრობის თავმჯდომარე და ის რასაკვირველია, თავის თავს პოლიტიკოსს ეძახის! ხოლო მისგან დაბრკელებული ბრბოკი ფიქრობს, რომ ყორღანიას სისულელეები ქართველ ხალხისათვის სასარგებლოა.

კიდევ მეტი! ყორღანია საყვედურობს რომ ივროპის სოციალისტები სუდი თვალით უყურებენ სოციალისტურ განხორციელებათ თ ვ ი თ კ ა კ ი ა ლ ი ს ტ უ რ სინამდვილეში. დემოკრატიული რესპუბლიკა კარგია, მაგრამ დამაკმაყოფილებელი ის აღარ არის, რადგან, მისი აზრით ევროპის სოციალისტებს თავიანთი გუ-

ბული ხალხის გასამარჯვებლად.

საქართველოს თავის ისტორიის გზაზე ბევრი თავისაზედ მრავალჯერ უფრო ძლიერი მტერი მოუწოდებია. დღესაც ასე მოხდება. ამის იმედი და რწმენა უნდა გვქონდეს. ეს მის ბუნებაშია, მის ეროვნულ არსებაში. ამიტომ მისთვის მტერი ისე საშიში არ არის, როგორც ის მეთაურობა, რომელიც მოკლებულია საქართველოს ამ საიდუმლოდ გაგების უნარს და თავის უვიცობითა და უჭკუობით მას ამ ძვირფას იარაღს ხელიდან სტაცებს და უნადგურებს.

ამ აჯანყების სახით მტერს მიეცა საზოგადოებრივი საბაბი, რომ, მისთვის სრულიად უშიშარ პირობებში, საქართველო ერთხელ კიდევ სისხლით მოერწყო, ერთხელ კიდევ დაერბია. ეს არ არის საქმე და დანაშაული ჭირნახული ქართველი ხალხის არც აჯანყებაში დახოცილი ნაწილისა და არც სოცხლად დარჩენილსა. ეს საკუთრივ იმ მეთაურთა დანაშაულია, რომელთაც ეს ხალხი მიენდო და მიჰყვა. პასუხის მთლიანად მათ უნდა მოეკითხოს.

მარტო თავის თავზე დანდობილი ქართველობა, ისტორიულად სიფრთხილისა და შეცადების ატმოსფეროში აღზრდილი, ამ უაზრო თვითგანადგურებას თავზე არ დაიტანდა, რომ აქედან იმედი დე დაპირებანი არ შეთვლილიყვნენ და სოცხალი ემიგრები არ გაგზავნილიყვნენ.

აჯანყების ამ რვა წლის თავზე მოსაგონარია ეს ეროვნული ბოროტმოქმედება, ვინაიდან მისი ჩამდენი მკლავი ჯერ კიდევ ტრიალებს და ერის გაფრთხილება ყოველთვის სავალდებულოა და სასარგებლო.

„საქართველოს გუშაგი“, დღევანდელ საპანაშვიდო დღეს, ერთი მხრივ მოწინააღმდეგეობით არის აღვსილი და თავის მხურვალე თავიანთსკემას აღუვლენს აჯანყებაში დაღუპულსა და სამშობლოს წინაშე სრულის ღირსებით ვალმოხდილ მამულისშვილებს;

ხოლო მეორეს მხრივ, იგი დანაშაულსა სკამზე სწამს იმ ხალხს, რომელმაც უმეთაურა ერის ძალთა ამ უაზრო ამოწყვეტას და შედეგის მხრივ ყოველად უიმედოსა და თავიდან განწირულ საქმეს.

**საბჭოთა ქვეყანაში**

კომუნისმი მომწვედუელია გამოუვალ წინააღმდეგობაში: როდესაც საკუთარი ორტოდოქსალური რეცეპტი მას სიკვდილის პირამდე მიიყვანს, იგი ბრანზორეული ამ რეცეპტს ჰკუწავს და სიციხის მკავებად ბურჟუაზიულ მედიცინას ესესება; ხოლო როდესაც ამ უკანასკნელის ღირსებისა, თუ გულუბრყვილობის გამო არ შეუძლიანთ თავიანთ გარშემო მუშათა და გლეხთა ფართო მასების შეჯგუფება და ერთი ურჩევს ევროპის მუშათა მოძრაობასა და სოციალისტებს: „კაპიტალიზმის სიხე-სიმეგრეთა აღება გარედან შეტევილ შეუძლებელია“. „ის უნდა ავიდოთ შიგნიდან გატევილთა—კაპიტალიზმის რგოლის თვით შუაგულიდან; უნდა ავიდოთ ბრძოლით მისი უმთავრესი ბასტიონები და იქ გავმარჯდეთ“. ასე მოუწოდებს ყორღანია ევროპის სოციალისტებს. „ამისათვის შემდეგში მხოლოდ ერთი გზა გვაქვს: დემოკრატიული პოლიტიკის საშუალებით უნდა მოვაწყოთ ეკონომიური დემოკრატია“. მას სურს შეაერთოს ქუშები, გლეხობა, მოხელეები და სხ., რომ სოციალურ-პოლიტიკური „საფუძვლები ჩაეყაროს სოციალისტურ ადამ შენებლობას“. ი-ია ძალიან სწუხს, რომ ეს მისი პროგრამა მიუღებელია ევროპის „გულუბრყვილო აზროვნებისათვის“.

მემარჯვენეთა გამარჯვებამ ევროპის ყველა ქვეყნებში გონება-სუსტ ყორღანიას დაუთარო სულ აურია. საყვედლოთა სახალხო არჩევნები გერმანიაში (ისე როგორც ინგლისში), ჩაითვლება დღევანდელი დროის უდიდეს პოლიტიკურ მოვლენათ; აქ ნათლად გამოიხატა გერმანელი ფართო მასების ანტიდემოკრატიული სულიკვეთილი. „დღეს ეს ტალღა ედება დიდად განვითარებულ და კულტურულ გერმანიას და ამით ის ხდება საყოველთაო, საევროპო გარემოებად“. ნ. ყორღანიას აზრით წინააღმდეგ ხალხი ეტრფოდა უფრო დემოკრატიას, ესლა-კი არიოკრატის, ოლიგარხიას. ამის სა-

ლის ჭერაპია ავადმყოფს სულს მიუღდამს, მას უკვე უქარწყლდება სიკვდილის შიში და ერთბაშად ბურჟუაზიული მეცნიერების ველური მძულვარება შეიპყრობს. ცოფში მოსული, უკანასკნელის მურტლობით ამ მეცნიერებასაც უმოწყალო დევნას დაუწყებს და მის მომგონსაც, რომ ისევე საკუთარ რეცეპტს მიაშუროს.

სამხედრო კომუნისმი და ნები; სტალინის მი და ახალი ნები, ყველა ეს ამ წინააღმდეგობის ილუსტრაციაა. დღეს უარყოფილია ის, რასაც გუშან ათავყანებდნენ და ხვალ უარყოფილი იქნება, ის რასაც დღეს ეტრიაან.

დღეს მოგონებაც აღარ არის იმის, რაც გუშინ მუშათა ბატონობის სუფევის ნიშნად იყო მიჩნეული.

სად არის ის ხუთ დღიანი სამუშაო კვირა, რომელიც ყოველ დღე მუშათა ერთმეზუთედს კიდევ ერთ უქმე დღეს პირდებოდა? სად არის ქარხნებისა და სხვა ანტრეპრინათა კოლექტიური მართვა-გამგეობა? სად არის ხელფასის თანასწორობა, რომელსაც ქადაგებდა კომუნისტური ხელისუფლება „მალალი მუშური სამართლიანობის თვალსაზრისით“.

ყოველივე ეს დღეს გაჰქრა, აღარ არის; ეს და ბევრი სხვა ამგვარი კომუნისტური აბსურდი სხვებამ უარყო, როგორც ეკონომიური შემოქმედების დამაბრკოლებელი.

ამის ნაცვლად კომუნისმის სამეფოში დღეს შემოღებულია წმიდა კაპიტალისტური მეთოდი მუშაობისა, იმ განსხვავებით, რომ იქ მუშათა მდგომარეობა, როგორც უფლებრივად, ისე ნივთიერად, შეუდარებლად უფრო უნუგეშოა ვიდრე ევროპა-ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენ ხანს გასტანს ეს მდგომარეობა, თუ რამდენ ხანს შეიწყნარებს კომუნისმის ბუნება ამ კაპიტალისტურ მეთოდს და იმ თოთხმეტი ათას უსხოელ ინჟინერსა და კონტროლერს რომელიც დღეს საბჭოთა კავშირის საინდუსტრიო წარმოების მეთაურთა კადრს წარმოადგენს.

საკმარისია საბჭოთა ქრონიკული კრიზისის ეპიზოდიური გაღრმავება, რაც სავალდებულოდ მოსალოდნელია, რომ ამი სი ბრალი არსებულ მეთოდსა და მის ცხოვრებაში გამტარებელ ხალხს დაედოს და ყველაფერი უმოწყალოდ შეიმუშროს. ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს ხოლო დღეს აქტიური ბრძოლა კომუნისმისა და ბურჟუაზიულ სულისკვეთებას შორის სოფლის მეურნეობის ასპარეზზე სწქრმოებს.

წინააღმდეგოდ ნ. ყორღანია ურჩევს ევროპას გამოიცვალოს ბრძოლის იარაღი: „ლიბერალიზმი და პარლამენტარიზმი გამოგონება ბურჟუაზიის, დემოკრატია კი ხალხის;“ „მაგრამ რომელი დემოკრატიაში, ლიბერალურ—პარლამენტარული? რასაკვირველია არა! „გაკვივის ნ. ყორღანია. მას სურს „თავისი“ დემოკრატიაში, რომელიც „ძველის ძველი მოვლენაა; ის აღორძინდა თავიდანვე, პირველი საზოგადოების დაწყებდანვე, კლასებისა და წოდებებისა ადორძინებამდე“ ე. ი. ნ. ყორღანიას მოითხოვს უკვე პრიმიტიული ხანის, ე. ი. პრეისტორიულ დემოკრატიაში ჩვენს მეტყვე საუკუნის ხანაში. ასე შორს არ წასულა არც ერთი შავი რეაქცია! მასინ „კლასები სა და წოდებთა აღორძინება“ ხსენებამაც არ იყო; ესლა კი კლასები და კაპიტალიზმი უმწვერვალესობამდე განვითარებული და ნ. ყორღანიას სურს კაცობრიობა მრავალი ათასი წლით უკან დასწიოს, იმ პირობებში დაუბრუნოს, როცა საზოგადოებრივი განვითარება იწყებოდა. ნ. ყორღანია თავის თავს მარქსისტსაც უწოდებს და ზოგ მის ბრყვ მიმდევარს მართლა ჰგონია, რომ ეს სეპარე დებულებები ისტორიის ეკონომიურ კონცეპციას ეგუებიან. ყორღანიას ერთი დიდი არგუმენტი მოყავს: რუსის გლეხი! „ხალხური დემოკრატიაში [sic!] ისეთი მძლავრია ყველა ერში, რომ თვით რუსის გლეხიც კი ვერ გადააჩვიებს მას ვერც მეფეებმა, ვერც ბოლშევიკებმა.“ თურმე, ყორღანიას თუ დავეუკვრებთ, რუსის გლეხი თვითონ მართავს ყველა თავის საქმეებს.

ამ ბრძოლაში იფეთქა სწორედ იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება სოფლის მეურნეობის საკითხის სოციალისტური გადაჭრა უკვე სამშვიდობოს გასული ეკონა.

სეცხლითა და მხვილით ჩატარებული კოლექტივიზაცია საბჭოთა ხელისუფლებას გულში კმაყოფილებისა და სიამაყის გრძობას უღვივებდა. მართლაც კოლექტივიზაციის ფარგალში უკვე ხუთმეტრი მილიონი მეურნეობა იყო „შემოსული“. მთელი სათესი მიწის რაოდენობიდან, რომელიც 96,6 მილიონ ჰექტარს უდრის, უკვე 77,7 მილიონი ჰექტარი, კარგი 80,4 პროც., „სოციალისტური“ სექტორში იყო მოქცეული.

ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლებას ერთნაირი დათმობაც ჰქონდა გაბოძებული უკმაყოფილო სოფლის დასამშვიდებლად. მას შეუძლია ნატურალური გადასახადი და ამავე დროს „ხედიმეტის“ უშუალოდ გაყიდვის უფლებაც მისცა, რაიცა ამა წლის 20 მაისს გამოცემულ „საკლხონო ვაჭრობის წესებში“ იყო განმარტებული.

იმ სუხიანი ბრძოლისა და წინაღმდეგობის შემდეგ, რომელიც სოფელმა, განსაკუთრებით საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლებას კოლექტივიზაციის საქმეში გაუწია, ხსენებული დათმობანი მას ბევრად არ დააკმაყოფილებდნენ; მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს მაინც ერთნაირი გამარჯვება იყო და სოფელიც სიამოვნებით გაიტრუნა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამაში დაინახა სოფლის საკითხის სრული დამორჩილება.

მაგრამ მოსავალი მოვიდა. გლეხის ნაწროში ყანებში მომწიფდა და მისი აღების დროც დაიწყო; როგორც მოსალოდნელი იყო, გლეხმა თავის ჭირნახულს შინის კენ ზიდვა დაუწყო იმის მაგივრად, რომ იგი სოციალისტურ ბეღელში შეეტანა. ამას გარდა „ხედიმეტის“ გაყიდვის უფლებაც მან უფრო ვრცლად გამოიყენა.

ამავე დროს დააგვიანა კოლხონო მოსავლის დაბინავება და წლევედელი ხორბალი და ფქვილი გლეხმა ჩუმჩუმად ბაზარზე გაიტანა. ერთი სიტყვით, ასპარეზზე გამოვიდა ინდივიდუალური მეურნე მთელი თავისი ბუნებით.

ეს საკმარისი იყო რომ სოფელსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის ბრძოლა განახლებულიყო; საბჭოთა კავშირის მთავრობამ თავის მოსისხარ ძალადობას წინ დეკრეტები წაუძღვარა.

ავგისტოს შეიძინა თარიღით მან გამოსცა დეკრეტი საკლხონო ქონების გატაცების შესახებ, რომლის ძალით ყოველი მტაცებელი სოციალისტური საკუთრებისა

კვდილით ისჯება. ამას მოჰყვა მეორე 22 აგვისტოს დეკრეტი, რომელიც სპეკულიაციას ეხება და დამნაშავეს 5-დან 10 წლის დაპატიმრებით სჯის.

შეტაკებები უკვე დაიწყო. არის ურჩობა და წინააღმდეგობა სოფლის მხრივ. დახვეწები და დატუსაღებანი საბჭოთა ხელისუფლების მხრივ...

ვრცელი შესაძლებლობა ეპიზოდური მოვლენების გაყოფელთაგანისა და დიდ შინაურ სირთულეთა წარმოშობისა, ისე როგორც შესაძლებელია კიდევ ერთხელ უკმაყოფილო ხალხის სწრაფი და მრისხანე დამორჩილება და საბოლოო კატასტროფის კიდევ ერთი ხნით თავიდან აშორება.

დ-ძე.

**საფრანგეთისა და საბჭოების მოლაპარაკებანი.**

როგორც ცნობილია, შარშან ზაფხულზე საფრანგეთსა და საბჭოებს შორის მოლაპარაკება სწარმოებდა—ურთიერთზე თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. ეს მოლაპარაკება დასრულდა იმავე წლის 24 აგვისტოს, საფრანგეთის მხრივ ბ-ნ ბერტელოს მიერ, ხოლო საბჭოების მხრივ დოვგალევსკის მიერ, დაპარაფებული ხელშეკრულების პროექტით.

ეს პროექტი სულ ხუთი მუხლისაგან შედგებოდა, რომელთაგან მეორე მუხლი ეხებოდა საქართველოს დიპლომატიურ მდგომარეობას საფრანგეთში.

ეს მუხლი შემდეგნაირად იყო გამოხატული:

„ხელის მომწიფი ერთმანეთს აღუთქვამენ, რომ ხელს არ მიჰყოფენ ერთმანეთის საწინააღმდეგო პროპაგანდას; რომ ხელს აღებენ ერთმანეთის შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩაურევანზე, რომელსაც დამყარებული წესწილობის, იარაღის საშუალებით დამხობის ხასიათი ექნება. არც ერთი ხელისმომწიფი მხარის მიწა-წყალზე შეწყნარებული არ იქნება ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მეორე მხარის ტერიტორიაზე ან მის ტერიტორიის რომელიმე ნაწილზე თავის სუვერენულ უფლებას აცხადებს“. ამ მუხლის ძალით, რასაკვირველია, საფრანგეთს უნდა მოეხდინა საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლობის გაუქმება.

როგორც-კი გარეთ გამოქონა ამ საიდუმლო მოლაპარაკების ამბავმა, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მას მტრულად შეეგება. განსაკუთრებით მისი მარჯვენა სექტორი.

პრესაში არ ცხრებოდა მთავრობის ამ ნაბიჯის კრიტიკა; საბჭოე ბთან თან-

სომლობა მიუღებლად იქმნა გამოცხადებული და მოითხოვდნენ მოლაპარაკების გაწყვეტას. ამ კამპანიის დროს იშვიათი არ ყოფილა საქართველოს სახელის ხსენება და ყოველთვის აღინიშნებოდა ხოლმე, რომ საქართველოს ასე გაწირვა ყოველად უღირსი და ღაწრული აქტი იქნებოდა და რიგობრ ასეთი საფრანგეთის ტრადიციის შემლახველი. ამასობაში ბრიანის აკრიზობა საგარეო საქმეთა სამინისტროში განელდა და ამ სამინისტროს თვით მთავრობის თავჯდომარის, ბ-ნ ლავალის პარტონობა და ეტყო.

მემარჯვენეთა გავლენის მოძლიერებასთან ერთად საბჭოებისადმი განწყობილებაც შეიცვალა და შეთანხმების ხელშეკრულების დაპარაფებული პროექტი დიპლომატიური წესრიგიდან მოიხსნა.

სწორედ წლის თავზე მოლაპარაკება კვლავ განახლდა. აგვისტოს ოცდათხუთსა საბჭოთა ელჩმა ბ-ნმა დოვგალევსკიმ იმა ხელა ბ-ნი ჰერიო, —საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი.

გარედ გამოსული ცნობებიდან სხანს, რომ ამ დარბაზობის მთავარი საგანი იყო საფრანგეთ-საბჭოთა შორის ერთმანეთზე თავდაუსხმელობის პაქტის დადება.

დღეს ეს საკითხი, შედარებით შარშანდელთან, შეიძლება უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას გადაეღობოს საფრანგეთის მმართველ წრეებში.

მართლაც, გასული მაისის საპარლამენტო არჩევნებმა სასწორი მემარცხენეთა მხარეზე გადმოხარეს და ქვეყნის მმართველ სადავებში მემარჯვენეებს ხელიდან გამოაძალის. ამის გამო დღეს უფრო გაძლიერებულია არიან წამოდგენილი ის წრეები, რომელთა თაოსნობითაც რვა წლის წინად, საბჭოთა მთავრობა საფრანგეთის მიერ პირველად იქმნა ცნობილი.

მაგრამ მთავარი ფაქტორი ამ გვარ საკითხთა ასე თუ ისე გადაჭრისათვის ერთმანეთის შემსვლელ მთავრობათა ნიუანსურ განსხვავებაში კი არ უდგომარეობს, არამედ საფრანგეთის ერთგული პოლიტიკის ძირითადი საგნის ბუნებაში, რომელსაც, საბოლოო ანგარიშში, ყოველი მთავრობა ექვემდებარება.

ამ მოლაპარაკების ინიციატივა პირველითგან საბჭოთა დიპლომატიას ეკუთვნის.

შარშან, დიდი ფინანსიური კრიზისის დროს, როდესაც სახელმწიფო გაკოტრების მუქარა თავზე დაადგათ, საბჭოთა კავშირის მთავრობამ თავის წარმომადგენლებს უცხოეთში საშუაი ინსტრუქციები დაუგზავნა—ყოველნაირ პირობებში კრედიტის შოვნ-

ნის შესახებ. კერძოდ დოვგალევსკის დავებულა, რომ საფრანგეთის მთავრობისათვის, საჭირო კრედიტის საფასურში, ძალიან ვრცელი პოლიტიკური დათმობანი წარედგინა.

საფრანგეთი კიდევ გერმანიის მუქარი საგან თავის დაზღვევის ტრადიციულ პოლიტიკას აგრძელებს და ამის საუკეთესო გარანტიას, დღევანდელს პირობებში, ისევ სლავიანთა მოდგმასთან კავშირის დადგენაში ჰხედავს. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო საფუძვლიან მოკავშირეთ კიდევ რუსეთი მიიჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა შინაური წესები და მათი საგარეო მოქმედება ფრანგის საზოგადოებაში აღმფლეთების რეაქციას იწვევს და რომ რუსეთის დღევანდელ ბატონებისადმი აქნდება არავის აქვს—მაინც შესაძლებელი ხდება საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის მოლაპარაკების წარმოება ერთმანეთთან დაახლოვების მიზნით.

ბურჟუაზიული საფრანგეთის მოძულე კომუნისტური ხელისუფლება და ბოლშევიკების ევლური ბატონობის დამგმობი საფრანგეთის ხალხი და მთავრობა ამ შინაგან გულის ხმას იყუჩებენ და ერთმანეთთან კამშირის დადებანზე ბჭობენ.

საბჭოთა კავშირი ამ რანდ-ე-ვუზე მოკყავს მის ფინანსიურ კრიზისს და სიტოცხლის გაგრძელების წყურვილს, ხოლო საფრანგეთი—გერმანიის მშფოთვარე გრძობას, მის აშკარა ამხედრებას ვერსალის ზავით შექმნილი სტატუტის წინააღმდეგ და აქედან გამომავალ ომის საფრთხეს.

როგორც ყოველთვის და ყველაფერში, მეორე ხარისხიანი საკითხები იჩრდილებიან, როცა საქმე თვით არსების საფუძველს ეხება.

მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი დღეს არ არის ერთად ერთი გამოსავალი არც საფრანგეთისთვის—გერმანიის საფრთხის ასაცდენათ და არც რუსეთისთვის—საჭირო კრედიტის საშოვნელად: აკი თვითუფლი მათგანი სხვა მიმართულებებითაც დაეძებს თავის არსებობის გარანტიას.

ეს მათი მოლაპარაკება ერთი შემთხვევათაგანია და ისიც ისეთი, რომელიც თუ დადებითად გათავდა, საზიანო იქნება მხოლოდ კულტურული პარტნიორისათვის.

პირველი გარანტია საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად, ისე როგორც საერთაშორისო აღებ-მიცემობისა და ეკონომიური საქმიანობის განსაცხოველებლად, ეს არის საბჭოთა რეჟიმის დამნობა.

მხოლოდ ასეთი ქირურგიული ოპე-

საკეთილოდ, „ხოლო საბჭოს უტოვებს პოლიციურ ფუნქციებს“. საბრალო საბჭოები! ასეთი სუდი ფუნქციები დაუტოვა მას გლეხმა, თორემ თვით საბჭოები შეიძლება რომ უფრო ხეირიანი გამომდგარიყვნენ! კიდევ უკეთესი მარგალიტი! ყორდანია ამბობს: „ამ დემოკრატიზმს [ე. ი. პირველყოფილ დ-მს. sic!) დაუბრუნდა [sic] საბერძნეთი და რომი... აღორძინდა კლასიკური დემოკრატია“ პრიმიტიულ ნ. ყორდანიას ნაწერებში აუარებელი უფიქრობაა; წამოსროლილია ბევრი ზერეფე, და ხეპრეფრაზები; მაგრამ ასეთი სისულელე ყორდანიებისგანაც გამაცვიფრებელია! თუ კაცო გავცნობა ბელონის ნაწრომთ და მომხენის მართლაც კლასიკურ გამოკვლევათ და ეხლახან ედ. მაიერის კაპიტალურ ნაწარმებთ ძველეთის შესახებ [უამისოდ კი უფლება არა აქვს ყორდანიებისთანა ხეპრე, უფიცოთ და დილექტანტთ საზოგადოება აბუჩად აიგდონ] ყოველი მიუდგომელი მოაზროვნე ცხადად დაინახავს, რომ ძველეთის დემოკრატიზმი ძირიან-ფესვიანად განირჩევა „პირველ ყოფილ დემოკრატიზმისაგან;“ ეს უკანასკნელი, სიკვალურად ამორფული, შედეგია საზოგადოებრივი უფარმობის; საზოგადოება აქ მხოლოდ ჩანასახშია. მაშინ როდესაც პერიკლეს, გრაკების, ცეზარის, სციპიონისა და ცინტონის დრო საზოგადოებრივი განვითარების მაღალ საფეხურზე სდგას, და ეკონომიურად კაპიტალის ტურ ფორმას გამოსახავს: არის მასიური საბაზრო წარმოება შინა-და-გარე-ვაჭრობისათვის; დაქირავებული მუშები [და

მონებიც] ერთის მხრივ, დამქირავებელი მწარმოებელი, მეორეს მხრივ; საბანკო ოპერაციები, და კაპიტალის დაბანდება; ჩვენ ვხედავთ აქ ფინანსიურ კაპიტალს მაღალი სარგებლობით და მწარმოებელთ რომელნიც ნაკლები სარგებლებისათვის იბრძვიან და სხ..

ამას წინად ნ. ყორდანიამ ქვეყანას აცნო: პარმოდინი და არისტოგაიტონი, პიზისტრატის მკვლელები დემოკრატიის მხსენი იყვნენო. ამაზე დიდი აბსურდი შეუძლებელია! პიზისტრატეს ხალხის მასა კი არ ებრძოდა, არამედ ათენის ოლიგარხია [თავადანაურობა], ევპატრიდები-ალკმეონიდები, რომელთა იარაღი იყვნენ ის უბედურნი მკვლელები! მათ ძველი ოლიგარხებმა დაუდგეს, ესენი იყვნენ მომწყობნი და მეთაურნი.

ეს ყოველივე ადვილად ამოიკითხება სათანადო ნაწარმოებებში, რომელთაც ვერ მისწვდა ყ-ნია მაგრამ იგი აქ არ ჩერდება და მკაცრად უსაყვედურებს ეგროპიელ სოციალისტებს, თავს რად არ ინთავისუფლებთო: „ლიბერალური დემოკრატიზმი შემოიჭრა სოციალისტთა შორისაც და ამრუდებს მათ მოქმედებას“. „დემოკრატიული მეთოდი, დღეს ასე გაბატონებული ჩვენს რიგებში, ჰგავს უფრო ქრისტიანულ მეთოდს, ერთი ყბაზე დარტყმის შემდეგ მეორის მიშვარა“ და ნ. ყ-ნია ჰკიცხავს, უარყოფს როგორც ლიბერალიზმს, რომელსაც დასციინს, ისე დემოკრატიზმს და ქრისტიანულ მორალს, რომელიც საფუძველია მეოცე საუკუნის კულტურისა და სოციალური ცხოვრების. ყ-ნის აზრით ლიბერალური

დემოკრატია მტრებსაც თავისუფლებას აძლევს და ეს მას არ მოსწონს. მას საჭიროდ მიიჩნია „დიქტატორული ჩარევა“ ყოველგან და მუდამ, სადაც კი ამას „ხალხური დემოკრატიზმის“ ინტერესი მოითხოვს. ამ დიქტატორული ჩარევის უნდა რევოლუციური რად იქნეს გადამიჯნული საკუთრება მუდამ და ყველგან, სადაც „ხალხურ დემოკრატიზმს“ „რაიმე საფრთხე მოელის“. „დემოკრატიის გადარჩენა რევოლუციური საშუალებით სალი დემოკრატიის მუდმივი დროშა“. მაშასადამე, ნ. ყორდანი, საქმთავრობის თავმჯდომარე, ქადაგობს რევოლუციური საშუალებით საკუთრების საქმეში მუდმივ დიქტატორულ ჩარევას, როცა ამას ძალაუფლების შენარჩუნებისათვის „ხალხური დემოკრატია“ საჭიროდ დაინახავს. ჩარევა არა კანონმდებლობით, არამედ ძალით, უხეში ძალმომრეობით; აი მისი ლოზუნგი! ყ-ნია კიდევ უფრო შორს მიდის: ავსტრია—გერმანიის რევოლუციური უნდა ჩარეულიყო აგრარულ ურთიერთობაში, უნდა დაეწვია მიწათ მფლობელობა და ნანგრევებზე აეშენებია თავისი რესპუბლიკაო. ყორდანის არ მოსწონს ეგროპისა და გერმანია-ავსტრიის დემოკრატიული წესები „იმიტომ რომ საკუთრების ხელშეუხებლობა, ეს ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპი, რევოლუციური დემოკრატიასაც გადაედვა და შემოქმედების შუა გზაზე გააჩერა“-ო. ყორდანის კი უნდა ევროპის დემოკრატიული განვითარება უფრო წინ წასწიოს და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად თუ შესანარჩუნებლად ის ევროპას რჩევას

აძლევს: მოსპეთ საკუთრების ხელუხლებლობის პრინციპი, გაანაწილეთ რევოლუციურად მასებზე საკუთრება და მიწადმფლობელობა და მაშინ შეინარჩუნებთ ძალაუფლებასო. ე. ი. ეს ბრძამაც დაინახოს და ყრუმაც გაიგონოს, საკუთრებასა და მიწადმფლობელობას სპობს ყორდანი „მასების“ სასარგებლოდ იმ მიზნით, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს! კიდევ გამოინახება ვინმე ბრიყვი, რომელიც ვერ გაიგებს თუ რა ასულდგმულებს ნ. ყორდანის?! ძალაუფლება ყოველ პირობის გარეშე, რითაც არ უნდა დაჯდეს ის! აი, მისი ლოზუნგი. მუდმივი გადაიჯგნა საკუთრების, ჰერმანეტიკული რევოლუციონია, ძალ-მომრეობა, აი მისი იდეალური იარაღი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. მემარჯვენე მიმდინარეობა ევროპაშიო, ასწავლის ყორდანი ქვეყანას, „ლაპარაკით არ დაითრგუნება; მისი დამხობა შეიძლება მხოლოდ დემოკრატიული მუშით“-ო ქართველო, ყორდანისაგან ბრბოს „მუშის“ მეტი შენ არაფერი მოველის! ყორდანი მოითხოვს „ლიბერალური დემოკრატიის უარყოფას და სახალხო, აქტიური და მეტროპოლი დემოკრატიის აღიარებას“. ეს მან თავს უნდა მოახვიოს „მთელს საზოგადოებას“-; „ნაციონალიზაცია... და ენერგიული ჩარევა საკუთრების ურთიერთობაში... და გაბედული ამოქმედება“ არასოციალისტთა წინააღმდეგ-აი რას ქადაგობს ყორდანი. ამის იქით რუსის ბოლშევიზმი არ წასულა. „მეტროპოლი დემოკრატია“ («la democrati active et



რაცა უწამლებს დღევანდელ საქრთველს რისა ზრიალდას. იგი ალაღენს ცხოვრების ნორმალურ პირობებს ჩვენი პლანეტის მთელ ერთ მეექვსედ ნაჭერზე და ჩაბამს საქრთველს ნივთიერსა და კულტურულ აღებ-მიცემობაში იმ 180 მილიონ ადამიანს, რომელიც დღეს სულითა და ხორსითა დაღუპულია მსოფლიო ეკონომიკისა თვის.

როგორი დაბოლოება არ უნდა მიიღოს საფრანგეთ საბჭოთა მოლაპარაკების განახლებამ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საფრანგეთის ხალხი და მთავრობა მართლაც არ გასწირავს ქართველი ხალხის სუვერენობის იმ ემბლემას, რომელსაც ცაზე ტიწილიწადი, თავი აქვს შეფარებული მის სამფეოვან დროის ქვეშ და რომელსაც ქართველი ერი შორიდან შემოკვირებს, როგორც თავის იმედის ჩაუქრობელ ვარსკვლავს.

გ. გარედანი.

**ემიგრაციაში**

საქუთადადებო მხილება.  
ჩვენ ხელთა გვაქვს მიწერ-მოწერა: ბ-ნ. უორდანიასა და ბ-ნ ვლ. ახმეტელ შორის ერთი მხრივ; ბ-ნ დ. შარაშიძესა და იმავე ბ-ნ ვლ. ახმეტელს შორის მხრივ მხარის.

ეს წერილები თუმცა მინიატურაში, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათელს ჰქვენ იმ-სათავეს, საიდანაც გამოქონავს ემიგრაციის დამშლეი შხამის წვეთები. სხვა და სხვა დროს ამავე თემას ბევრი სხვადასხვა და იგი საზოგადოების წინაშე ძალიან ვრცელად გადაუშლია. მაგრამ ეს მხოლოე ბა ყოველთვის მოპირდაპირე ბანაკიდან გამოდიოდა და სწორედ ამიტომ იგი თავის უდავო სინამდვილის შესაფერ და მკაცრე ბელ ზედგავლენას ვერ ახდენდა იმ წრეებზე, რომელიც ასე თუ ისე დაინტერესებულნი იყვნენ, რომ სიმართლეს ფეხი არ მოევიდნა.

დღეს ამასვე საჯაროდ ადასტურებს თვით იმ წრის კაცი, სადაც ამ შხამის სათავეა დადგინებული. ეს იმას მოწმობს, რომ ამ წრის ერთ ნაწილში ისე შორს და ისე ღრმად არის წასული სულიერი დაკნინება და საზოგადოებრივად მანებელი „მოღვაწეობა“, რომ ფილაბეგლარ დაიტია და გადმონებთა.

მხილებულია ბ-ნინ-უორდანიასა და მისი წრე. მამხილებელია ბ-ნი ვლ. ახმეტელი, ძველი ცნობილი მოღვაწე და პუბლიცისტი სოც. დემ. პარტიისა, ხოლო 1919 წლიდან დღემდე—საქართველოს წარმომადგენელი გერმანიაში.

უადგილობის გამო ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ადგილებს მოვიყვანთ ხსენებულ-ში

წერ-მოწერიდან, თუმცა ძალიან საქრთველში გვიგანჩია რომ საზოგადოება ამ წერილებს სრულად გასცნობდა.

საქმის დაწყება ბ-ნ უორდანიას ეკუთვნის ამ წლის 19 აპრილით დათარიღებულ წერილში იგი სწამებს ბ-ნ ვლ. ახმეტელს ირაკ-ლი წერეთლის ჯგუფის მიმხრეობას, მემარჯვენე ელემენტების მხარის დაჭერას, ბერლინის კოლონიის თავჯდომარის არჩენვში ში სოც. დემოკრატიულ პარტიის კანდიდატის მაგიერ ფაშისტისათვის ხმის მიცემას და სხვა ამგვარს. „ამ წერილს და შეკითხვას არ მოგწერდი, რომ არ იყვე ჩემი წარმომადგენელი ბრლინში“ და მისგან პასუხს და განმარტებას მოითხოვს. ბ-ნი ვლ. ახმეტელი ბ-ნ უორდანიას ასავალ-დასავალს კარგად იცნობს. მისი გულისხმადების გამოცნობა არ გაუძნელდებოდა. საქრთველს განმარტების შემდეგ, იგი ბ-ნ უორდანიას ისე ამით რახებს როგორც პატარა ბავშვს, რომ ამდენი ხანი თავდაპირის მარტივი გაკვეთილი ვერ შეუთვისებია. თავის პასუხში, 17 მაისის თარაღით, იგი როგორც საქართველოს წარმომადგენელი სწერს: „მე არასდროს არ მქონებია ახრათ დამეყო საქართველოს მოქალაქენი რამდენიმე ხარისხად (იგულისხმება: როგორც ამას ჩადიოდა და ჩადის ბ-ნი უორდანიას რედა); ყველას თანასწორად და მიუკერძოებლად ვუყურებდი (რასაც უორდანიას არა, შვრება რედ.) არც არასდროს მქონებია სურვილი—გამწვავება, არე-დარევა შემეტანა მოქიშვე ჯგუფთა ბრძოლაში [როგორც ამას უორდანიას შვრება რედ.], პოლიტიკაში უფრო, ვიდრე სხვა სფეროში უპირველეს ყოვლისა საქრთველს, მორალის დასვა და სრული წრფელობის გამოჩენა [ის რაც უორდანიას არა აქვს. რედ.]. ნუ თუ თქვენ და თქვენი თანამშრომელნი სთვრუნავთ ზემოაღნიშნულ პრინციპებს და მიმართულებას, რომ ასეთი ეჭვი დაგება დათ ჩემს მიმართ“ და სხვა. და დასძენს: „არც ქანაბობა საკადრისი ერთი მხრიდან მეორესკენ, არც მიკერძვა რომელიმე მიმართულებისა, ან ჯგუფის თუნდ მონათესავი სა. მხოლოდ ასეთი მტკიცე ადამიანი დამი სახურებს ღირსეულ სახელსო“. თავის პასუხის დასასრულში ბ-ნი ახმეტელი უცხედებს ბ-ნ უორდანიას—„არავის პირადი წარმომადგენელი არ ვყოფილვარ და მაშასადამე არც არავის სალკე ნდობას დავკარგავო“.

ამ ინციდენტში ჩაერევა საქ. სოც. დემ. პ. პის საზღვარგარეთელი ბიურო, რომელსაც გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: ა) ვლ. ახმეტელი ასეთი ქცევის შემდეგ ბიუროსადმი, ვერ დარჩება მისი წარმომადგენელი გერმანიაში; ვლ. ახმეტელის მანდატი გაუქმებულია“ და ბ) მოეთხოვოს

წარმომადგენლის დაუყოვნებლივ თავისი ახსნა განმარტებანი“ და სხვა. ბურთოს სახეობით ამ რეზოლიუციას გზავნის ბ-ნი დ. შარაშიძე: ბ-ნ ახმეტელიც იძლევა განმარტებას, რომელიც ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს კილოს ხეობრივი სიმტკიცით და გრძობის სიწრფელით, ისე როგორც საერთოდ ემიგრანტული სინამდვილისა და კერძოდ ბ-ნ უორდანიას მოღვაწეობს სწორი ანალიზით.

მოგვყავს ზოგიერთი ადგილები:

„ჩემთვის ეჭვს გარეშეა, რომ ნ. უ-იას ეპისტოლე სრული მისი დაბნეულობის ნაცოფია. უკანასკნელ 4—5 წლის განმავლობაში ნ. უ. ზოგიერთ ვაქებატონების წყალობით და გავლენით ამაოდ ცდილობს ჩემი მრავალწლის ნამუშევარი წყალს გაატანოს და მით თავისი პირადი გულისთქმა დაიკმაყოფილოს. შინაობაში მე არასდროს არ დამიმალავს, რომ ჩვენი ემიგრაციის დიდ უბედურებას შეადგენს, რომ სათავეში არ ჰყავს მაღალხეობრივი ავტორიტეტი, რომე-საც შეეძლოს ყველა მიმართულების წარმომადგენელნი და პოლიტიკური მოღვაწენი შეაკავშიროს ერთს გამომუშაებულ ერთვულ პლატფორმაზე, რომ ამათურის პირდაპირი მოვალეობაა კი არ აცაოტკვევდეს და სთიშავდეს მებრძოლთა ჯგუფებს, ან დღეს ერთს იახლოვებდეს და ხვალ მეორეს, არამედ უწმარტ ერთვულ ხელმძღვანელს შეჭერის განურჩევლად ყველა გულწრფელად აღიარებულ ერთვულ მიმართულების პატივისცემა და საერთო საქმისათვის გამოყენება და რომ გაჩერება ვიწრო ჯგუფურ ნადაგზე ჩვენი დიდი საქმისათვის მეტად მანებელია და ამიტომ მიუღებელი“.. კიდევ:

„შორსმკურნელ ხელმძღვანელობას მოკლებული ქართველი ემიგრანტობა დაიყო ჯგუფ-ჯგუფად, წინანდელი პარტიების მთლიანობა დაიშალა: საზოგადოებრივი ახრი აღარ არსებობს, გაჩნდა მარტო ჯგუფობრივი ორგანოები— თავისუფლად ქართველს არ შეუძლია მიაწოდოს თავისი ხმა უშუალოდ მკითხველ საზოგადოებას. ნ. უორდანიას კი უნდა ეთამაშა სხვა როლი, როგორც მთავრობის სათავეში მყოფს. იუ რიდიულ უფლება დაკარგულს მას უნდა გაეძლიერებია ხეობრივით, ეთიური, სამართლიანობის სავე გავლენა, რაც სრულიად მოსპობდა ჯგუფობრიობას და უაზრო შეხლა—შემოხლას. ამით დაამტკიცებდა ის მართლაც, რომ ერის ნამდვილი მეთაურია და ხელმძღვანელი. ახლა კი არა თუ ერის, ის არც პარტიის წარმომადგენელია. მას ჰყავს თავისი მცირე ჯგუფი, ასე ვსთქვათ, თავისი მრევლი. ამ ჩემს შეხედულებას, აზრს—სინი დისიერს და მართლს არ ვმალავ

დი და არ ვმალავ, რადგან უწმარტებისათვის მე მხოლოდ ერთი ქისა მაქვს და არ რამოდენიმე, როგორც დაუფიწყარ ილიას „ოთარაანტ ქერვის“...

და ბოლოს ასე დაასკვნის:  
ნ. უორდანიას არა ცდილობს ჰაერი განსწიბოს ემიგრანტულ წრეებში, გააბატონოს სიმართლიანობა, რიგიანობა, კეთილშობილება, გახდეს მართლაც ნამდვილი ერთვული სიმბოლო, როგორც გვესტრდა და გვეპიროდა ჩვენ. ამ სიმბოლოს წინაშე ყველას უნდა მოწიწებით თავი მოხარა, თაყვანი ეცა. ყველა ხალხს ჰყოლია ასეთი სიმბოლო, რატომ ჩვენ არ უნდა გავგანხდეს? მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ბუისაგან ნუ გამოელით ბოლოკარკარის ბუდესო“. ნუ თუ უნდა ვიფიქროთ, რომ მართლაც „ოკასა შინა რასა სდგას, იგივე წარმოსდინდების“? ხშირად აკამკვლავებიათ ვის მოპირდაპირეს უღირსად, არ დაუზოგოა გარეშენი. ახლა მისდგა თავის თანაპარტულეებსაც. ნურას უკაცრავად, თუ ახლა მისი ფანდები აღარ გაუგია ადვილად, როგორც აქამდის. ნ. უორდანიას ჩვეულებრივი ფანდების გამოყენებას აღარ აპატიუნენ მით უფრო; რომ ცნობილ ამხანაგებს მძიმე ბრალდებებში წაუყენა და ყველაფერს მზის შუქზე გამოიტანენ. არავის ამხედრება, არავის წაქეზება არ მჭირდება. თვით ნ. უორდანიას ამის თავდებია. ნ. უორდანიას თვით ამხედრებს თავისი მოპირდაპირეების წინააღმდეგ არა თუ თავის „დამხმარე ორგანოებს“, არა მედ სხვა პარტიების ორგანოებს და ტენტრასაც. მაგრამ მწწამს, არ გამქრალა ჯერ კიდევ მთლად ემიგრანტულ ქართველობაში კეთილშობილება, კეთილსინდისიერება, იმედს არ ვკარგავ, რომ თუ ვისმე მათში მოპირდაპირეთ მივჩინებარ, ჩვენ შორის მოსიქეთლად მაინც ნამუსი დარჩება.

ამით ვათავებ თქვენთან ლაპარაკს. თქვენს მიმართავს პასუხს აღარ გავცემთ: უკანვე მიიღებთ გაუხსნელად. ისე კი ბურთი და მოედანი თქვენია. გაქვთ ორგანოები, გავალთ—გამოხვალთ ბუქნას, მაგრამ ერთი კი უნდა იცოდეთ, რომ თქვენ მიერ მოქმედულ ლაპატს ერთს რომ მე მომარტყავთ, თსს თქვენვე მიირტყავთ! თავისუფალი სამშობლო გავასამართლებს ჩვენ“.

შაქარი თქვენს პირს: საქართველოში ჩასვლა თუ გვედირსა, უორდანიას და მისი წრის ქართველი ხალხის მიერ გასამართლება საც მოვესწრებით.

მაგრამ საქრთველს ამ ხალხის ბორბტ მოქმედების აქვე და ამ თავითვე აღკვეთა, რომ ქართველი ხალხი მათ პროვოკაციას სულ არ ემსხვერპლოს და რომ დამნაშავეებს იქ მოსამართლენი მაინც დახვდნენ.

ა. ბ.

militante,»!!) რუსეთშიაც არის, ჩვენ მას ოსლოკრატის ვუწოდებთ, ესაა მისი ნამდვილი სახელი. ამას ეტრფის უორდანიას. უორდანიას ბეგრ სხ. რამესაც ასწავლის ვეროპას, მაგ. ინდუსტრია კი არა, სასოფლო მეურნეობაა მთავარი. მაგრამ დასავლეთი მას უყურადღებოდ სტოვებს: აქ „მკვდარი იჭერს ცოცხალს სოციალისტებში“ კვენის ვორდანიას.

მხოლოდ უბედურმა შემთხვევამ მოგდო იგი საქართველოსა და ევროპაში: მისი გული და სული რუსეთშია. მართლაც, ე-ია ევრდნობა ძველ რუსულ მიმართობებს, ჩერნიშევსკისა და სხ.—რომ რუსეთს შეუძლია შევიდეს სოციალიზმის სამოთხეში, ისე რომ არ გაიაროს კაპიტალიზმის ჯოჯოხეთი და აამისოთ ვითომც მარქსის ერთ წერილსაც-კი იშველიებს, რომელიც მას თავის ბუნების შესატყვისად ძალიან ზერელით და ცულუტურად გაუგია. პირველი: მარქსის ციტატა უორდანიას დამახინჯებულად აქვს მოყვანილი, გვ. 216-იდან აღებული თავი მან მთელი 217 გვერდის გამოკლებით გადააბა ამავე გვერდის სულ ბოლო ფრაზებს და მით მკითხველს დაუსახას ისეთი აზრი, ვითომც მარქსი უორდანიას ვით ცეტად სწვეტდეს საკითხს. მეორე, თუ მსა მარქსი ლაპარაკობს შესაძლებლობაზე რომ რუსეთმა შეიძლება არ გაიაროს კაპიტალიზმი. მის ყველა პერიპეტეები, მაგრამ ეს უორდანიას სრულიად არ უმტკიცებს, რისი დამტკიცებაც მას სრდა: ვითომც რუსეთს შეეძლოს სოციალისტური

წესების განხორციელება მომავალ ანტი ბოლშევიკურ გადატრიალებისას! ასეთის უღელეს მხოლოდ უორდანიების თავი თუ დასწამებს მარქსს.

რას ამბობენ ევროპის სოციალისტები და რას შვრებიან, როგორ მოქმედებენ ისინი დღეს?

პასუხი მარტივია; ევროპის სოციალისტების დიდი უმრავლესობა (კომუნისტების გამოკლებით) მტკიცედ სდგას და შედგრა დ იცავს იმას, რასაც ებრძვის ნ. უორდანიას: დემოკრატია, პარლამენტარიზმს და კაპიტალისტურ ეკონომიკის ხელშეშლელ ევოლიუციას. ვანდერველდე და ბერნშტაინი კორიფებია ამ მიმართულების. ინგლისში მაკდონალდმა ნოემბერში თავის სიტყვაში განაცხადა „ინგლისის კაპიტალის დაცვის“ საქრთველს, ხოლო გერმანიაში აი როგორ ახასიათებს სოც. დემ. პ-ას სახელოვანი მეცნიერი ფ. ტონის, რომელიც აღნიშნავს რა ს. დ. პ. განზომიერებასა და გამარჯვებას პოლიტიკურად, განაგრძობს: „მაგრამ ს. დ. პარტიამ თვით საზოგადოებრივი წყობილება ასევე უნდა განავითაროს და თანდათან შესცვალოს და არა გადატყოს. რადგანაც მას ეს მის და ეშინია უზომო პასუხისმგებლობისა იმ უბედურებათათვის, რომელსაც ასეთი მოქმედება გამოიწვევდა გამარჯვების დამიუხედავთ მაშინაც-კი როდესაც ეს ლეგალური გზით მოხდებოდა. ამავს ს. დ. პ. ერიდება, რადგან მას საკმაო გამოცდილება და მიხვედრილობა აქვს, რომ შეამჩნიოს შედეგი, თს, რომ გერმანიაში ხალხს

გადობრივ წყობილებას გასილებით მეტი სიძნელეები დახვდება გზაზე, ვიდრე რუსეთში, თუნდაც რომ შემოაღებინონ, რაც საეჭვოა“ და სხ.-ფაქტია, რომ რამოდენიმე წლის წინად გერმანიის ს. დ. პარტიას უმრავლესობა ჰყავდა რაისტრავში, მაგრამ ძალაუფლება სხვას დაუთმო (კუნთს მთავრობა და სხ.) აი, ამ „გალიბერალებს“ დასტორის უორდანიას, და თან ჰკვივის: მოსპეთ კერძო საკუთრების ხელუხლებლობა და შეინარჩუნებთ ძალაუფლებას! შედეგი? რუსეთის მაგალითი უორდანიას ტენის არაფერს ეუბნება. ის ეძებს ხსნას ძველეთში, როგორც სსრულისად არ იცნობს. ცნობილია რომ ხშირმა რევოლუციებმა ხელი შეუწყვეს ძველი საბერძნეთის დასემასა და რომაულთა განდაპრობას, ძველ ბერძენთა დაქვეითებას. ლებონი მართალია როცა ამბობს, რევილუციონერზე არ მოქმედობს არავითარი მაგალითი. იგივე უორდანიას რომელიც სპობდა საქართველოში ერთვულ კაპიტალს, წარმოებას და სახალხო ეკონომიკას, გამწარებული დაქვებდა უსწოეთში უსწოელ კაპიტალისტებს, უცხოელ მწარმოებელთა და ეხვეწებოდა ყველას, მიეღოთ მისგან კონსესიები და დიდი სარგებელი სესხისათვის და სხ. უორდანიას ყალბაზანობა უშედეგოდ არ დარჩა. ქართველი მწარმოებელი მან ყველა დაღუპა და შიშველი დასტოვა, თვითონ კი პარპაზობს ჩვენსა და მთელი ხალხის ხარჯზე. გადაჩა ის ქართული მწარმოებელი, რომელსაც შეამჩნავდა სსრულისად უფრო ძლიერი დამცველი

აღმოუჩნდა. მომავალში ქართველმა მწარმოებელმა დიდო სიფრთხილედ უნდა გამოიხილოს, რომ გადაარჩინოს თავისი და მთელი ერის ნაშრომ-ნაამაგდარი ისეთი მტაცებელი და მანვე პარაზიტებისაგან, როგორც ჩვენ უახლოეს წარსულში გვეყვანდნენ და ენლაც გვეყვანან. ხოლო ქართველმა ინტელიგენციამ და ლიბერალურმა საზოგადოებამ და სხ. მეტყვე ელემენტებმა უნდა იცოდნენ, თუ რა ჯოჯოხეთის ტეცხლს უმზადებენ მათ, თუ მომავლში მაინც საჭარველოში არ გაიმარჯვებენ ერთვულმა მამართლებამ. აქედან დასკვნები: საქართველოში სოციალიზმის განხორციელებას ხელი უნდა ავაღებინოთ ყველას, ვიდრე ევროპაში სოციალიზმი არ დამყარდება, თუ მას განხორციელება უჭირია. ამ ფორმულას ჩვენ ჯერ 1917-1921 წ. ვიცავდით სიტყვით და კალმით. აშკარა ლაღობა ერისადმი, თუ ვინმე უორდანიას ამაფეთქებელ პრინციპებს გაამხედრებს და მას გავლენას შეუხდნს. ვიდრე ქართული მენშევიზმი მონურად განაგრძობს უორდანიას კულონის მსახურს ქალბად ყველაზე „ემუტონი და გულადი“ თავის პარტიასი ი-ნაია!, ის ქართველებისათვის უცხო, რუსულ, მიმართულებაა, რუსეთის წიაღში შობილი, მისი რძით გამოზრდილი, მისი ერთვული მომვლელი და მორტფილედ მაგრამ თუ ოდესმე საქართველოში მართლაც დამარცხდა განათლებული დემოკრატია, თუ გადაილახა კანონიერება და წაიქელა ადამიანის პიროვნების თავისუფლება, თუ ოდესმე საქართველოში დაწესდა შავი რეაქცია—იცოდეთ, ეს იქნება ან აღირახსნილი მენშევიზმი უორდანიას „გულადი მუშტიანობა“ ან შედეგი იმ უკუღმართ პროვოკატორულ მოქმედებათა მთელი რიგისა, რომელიც ამოღეს უორდანიასა და მისი ჯგუფის სისხლიან დროშას!

ტ. მარგველაშვილი, ბერლინი.